JSC Nenskra Hydro

უსაფრთხოების, სოციალური, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის და თემებთან ურთიერთობის საკითხები წლიური ანგარიში 2017

2017 წელი, დეკემბერი



შინაარსი

#	ანგარიშში მოცემული საკითხები
1	მდგრადი განვითარების ჩარჩო, სისტემები, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები
2	უსაფრთხოების, სოციალური, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის და თემებთან ურთიერთობის მაჩვენებლები - 2017 წელი
3	გარემოსა და სოციალურ სფეროზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და განსაჯაროვების პროცესი
4	დაინტერესებული მხარეების ჩართულობა
5	საზოგადოებასთან ურთიერთობა
6	თემის განვითარების პროგრამა
7	გარემო და ბიომრავალფეროვნება
8	მიწის შესყიდვის და საარსებო რესურსების აღდგენის გეგმა
9	ჯანდაცვა და უსაფრთხოება
10	მონიტორინგი

JSC Nenskra Hydro

ნაწილი 1

მდგრადი განვითარების ჩარჩო, სისტემები, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები

მდგრადი განვითარების პოლიტიკა

ხედვა

სს "ნენსკრა ჰიდრო" დაარსდა როგორც კომპანია, რომელიც ახორციელებს საქმიანობას გარემოს დაცვის სრული პასუხისმგებლობით. კომპანიის გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია, როგორც მაღალხარისხიანი პროდუქციის შექმნაზე ასევე გარემოს დაცვითი კუთხით მომსახურების გაუმჯობესებაზე.

ვალდებულება

- სს "ნენსკრა ჰიდრო"-ს პერსონალს გააჩნია მაქსიმალური პასუხისმგებლობა გარემოსდაცვითი საქმიანობის მიმართ რათა მიაღწიონ წარმატებას გარემოს დაცვის კუთხით. პერსონალი მოწოდებულია შეასრულოს შემდეგი გარემოსდაცვითი ვალდებულებები:
- დაიცვას ყველა არსებული გარემოსდაცვით კანონმდებლობა, რეგულაციები და შესაბამისი სტანდარტები;
- ენერგიის და რესურსების ეფექტური გამოყენებით მინიმუმამდე შეამციროს გარემოს დაბინძურება, მოახდინოს ნარჩენებისა და ემისიების მინიმალიზაცია;
- გარემოს დაბინძურების ინციდენტების ნულამდე დაყვანისთვის აქტიური მუშაობა;
- გამჭვირვალობა კომპანიის გარემოსდაცვითი საქმიანობის ანგარიშის შესრულებისას;
- ამოცანებისა და მიზნების დასახვა, გარემოს დაცვითი საკითხების მუდმივი გაუმჯობესებისათვის. აუდიტის და მონიტორინგის უზრუნველყოფა;
- კომპანიაში იმგვარი კულტურის ჩამოყალიბება რომელიც თანამშრომლებს ზემო აღნიშნული ვალდებულებების შესრულებისკენ უბიძგებს;
- ჩვენ მივისწრაფით მდგრადობისკენ. ვცდილობთ მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირებას და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას.

ამოცანები

- ამ ვალდებულებების მაღალ დონეზე შესასრულებლად სს "ნენსკრა ჰიდრო" ახორციელებს:
- მინიმალური სტანდარტების შემუშავებას და შენარჩუნებას;
- რეგულარული შესრულების ანგარიშების გამოქვეყნებას, ღია საჯარო განხილვას, გარემოსდაცვით საქმიანობასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებთან;
- ამ მიმართულებით არჩეული პოლიტიკის შესაბამისობისა და ეფექტურობის გამოსაკვლევად მისი სისტემატიური მონიტორიგი.
- გარემოსდაცვითი მართვის ISO 14001 სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებული სისტემების შემუშავება და შენარჩუნება;
- სათანადო ტრეინინგების უზრუნველყოფა ყველა თანამშრომლისთვის, რათა მათ განახორციელონ ეფექტური მუშაობა გარემოს დაცვის გათვალისწინებით;
- კლიენტების, კონტრაქტორებისა და მომწოდებლების ჩართულობის უზრუნველყოფა, გარემოსდაცვითი საქმიანობის მაღალ დონეზე შესრულების მისაღწევად.
- თანამშრომლებისთვის გრძელვადიანი ღირებულების დანერგვა, რათა უზრუნველყონ ადგილობრივი თემების განვითარება, მდგრადობა და გარემოსდაცვითი ინვესტირების განხორციელება.

პასუხისმგებლობა და განხორციელება

ამ პოლიტიკასთან შესაბამისობის პასუხისმგებლობა ეკისრება მთავარ აღმასრულებლებს, მათ ხელმძღვანელ დირექტორებსა და ყველა თანამშრომელს. ეს ასევე ყველა ინდივიდის პასუხიმგებლობაა, გაეცნოს პოტენციურ რისკებს გარემოს დაცვის მიმართულებით და უზრუნველყონ მათი პირდაპირი ჩართულობა რისკების შესაშცირებლად. სს "ნენსკრა ჰიდრო" პერიოდულად შეამოწმებს ამ ვალდებულებების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში დასანავს შესაბამის ნაბიჯებს ამ კუთხით მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სოციალური, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის და სათემო საკითხების მართვის სისტემა



- სტრატეგიული მიმართულება, ხელმძღვანელობა და ვალდებულება
- საფრთხეების განსაზღვრა და რისკების მართვა
- იურიდიული და სხვა მოთხოვნები

- პერსონალის გადამზადება, ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება
- კომუნიკაცია
- დოკუმენტების კონტროლი
- სამუშაოების კონტროლი
- საგანგებო სიტუაციების მართა
- კონტრაქტორების მართვა

- ანგარიშები ინციდენტების შესახებ და გამოძიება

- მონიტორინგი, აუდიტები და განხილვები

2017 წელს შემუშავებული სისტემები

- შეიქმნა სოციალური, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის და სათემო საკითხების მართვის სისტემა
- დაინერგა ინციდენტების ანგარიშგების სისტემა
- დაინერგა საჩივრების განხილვის მექანიზმი
- დაინერგა ჯანდაცვის, უსაფრთხოების და ეკოლოგიური საკითხების ინსპექციები
- მომზადდა ტრენინგი სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით
- შეიქმნა ყოველკვირეული და ყოველთვიური ანგარიშგების სისტემა
- შემუშავდა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების წლიური დაგეგმარების სისტემა

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების რისკები და გამოწვევები

რისკებისა და გამოწვევების ჩამონათვალი
თემების მხრიდან წამოსული უკმაყოფილება (პროტესტის სხვადასხვა ფორმები)
ზემოქმედება მას-მედიის მხრიდან
თემის მოსახლეობის მხრიდან არარეალისტური/გადამეტებული მოლოდინები სარგებლის, დასაქმების, ბიზნეს-შესაძლებლობების და განვითარების თაობაზე
მიწის გამოსყიდვის საკითები (მოლოდინები კომპენსაციების თაობაზე, კონფლიქტები მიწის საკითხებთან დაკავშირებით)
თემის მზადყოფნა, შექმნილი შესაძლებლობების გამოყენებისათვის
პროექტის პერსონალის გადინება
უსამართლო და დაუსაბუთებელი ბრალდებები არასამთავრობო სექტორის მხრიდან

JSC Nenskra Hydro

ნაწილი 2

2017 წლის მაჩვენებლები

სჯგთ მაჩვენებლები (აღნუსხული 2017 წ. სექტემბრიდან)

სოციალური, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის და სათემო მაჩვენებლები	
გარემოსდაცვითი ინციდენტები	1
სამშენებლო ბანაკიდან გატანილი ნარჩენების მოცულობა/წონა (კგ)	12,980
სამშენებლო ობიექტზე მავნე ნარჩენების მოცულობა/წონა (კგ)	3,288
საცავში არსებული ნახშირწყალბადების მოცულობა (ლიტრი)	100,561
გამოყენებული ნახშირწყალბადების მოცულობა	21,082
სოციალური ინციდენტები	14
საჩივრები	19
ჯანდაცვის და უსაფრთხოების ინციდენტები	10
სოციალური, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის და სათემო საკითხების სტანდარტებთან შეუსაბამობა	20

JSC Nenskra Hydro

ნაწილი 3

გარემოსა და სოციალურ სფეროზე ზემოქმედების შაფასების აგნარიშის განსაჯაროება

გარემოსა და სოციალურ სფეროზე ზემოქმედების შეფასება

- კომპანია „გამას“-ს მიერ 2015 წ. შემუშავებული გსსზშ პირველადი პაკეტი
- გსსზშ დამატებითი მონახაზის 10 ტომეული მომზადდა SLR-ის მიერ და განსაჯაროებული 2017 წ. თებერვალში
- გსსზშ დამატებითი 10 ტომეულზე მუშაობა დასრულდა SLR-ის მიერ, 2017 წლის ნოემბერში
- გსსზშ დამატებითი 10 ტომეული ითარგმნა ქართულად, 2018 წლის იანვარში
- გსსზშ დამატებითი 10 ტომეული განსაჯაროვდა საერთაშორისო საფინანსო ინსიტიტუტებისა და ნენსკრა ჰიდროს მიერ (ნაწილობრივ 2017 წლის ნოემბერში და სრული ვერსია 2018 წლის იანვარში)
- საჯარო კონსულტაციების ანგარიშის ინგლისური ვერსია განსაჯაროვდა 2017 წლის ნოემბერში, ხოლო ქართული ვერსია 2018 წლის იანვარში

საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები - 2017 წელი

- საჯარო განხილვებს და საზოგადოებასთან საკონსულტაციო შეხვედრებს თბილისში და ორივე ხეობაში საერთო ჯამში დაესწრო 950 ადამიანზე მეტი
- მაქსიმალურად ფართო აუდიტორიის მოსაცავად გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:
- გსსზშ დამატებითი პაკეტის ნაბეჭდი ეგზემპლარები მიეწოდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს
- თემის წევრებს გადაეცა 100-ზე მეტი ფლეშ-ბარათი, მასზე ჩაწერილი გსსზშ დოკუმენტაციით.
- გსსზშ დოკუმენტები აიტვირთა სს „ნენსკრა ჰიდროს“ და პროექტის პოტენციური საერთაშორისო საფინანსო ინსიტუტების ვებ-გვერდებზე
- ჩატარდა გაცნობითი შეხვედრები ნენსკრას და ნაკრას ხეობებში
- ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში, ასევე თბილისში ჩატარდა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებიც მოიცავს ხეობებში გამართულ ღია კარის დღეებსაც.

საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები - 2017 წელი

- ფოკუს-ჯგუფებისა და კვლევების ჩატარება კონკრეტული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით მოსახლეობის საჭიროებების გამოსავლენად
- ფოკუს ჯგუფების ჩატარება თემის იმ ნაწილთან, რომელიც მიეკუთვნება მოწყვლად კატეგორიას
- მასმედიისთვის ინფორმაციის განსაჯაროება სოციალური ქსელების და პრეს-რელიზების მეშვეობით
- საინფორმაციო სახის ბროშურების გავრცელება
- ვიდეო მასალების მომზადება კაშხლის უსაფრთხოების და პროექტის შესახებ

საჯარო კონსულტაციების შეხვედრები - 2017 წელი

განსაჯაროების პროცესში განხილული ძირითადი საკითხები:

- კაშხლის უსაფრთხოება
- ჯანდაცვის და უსაფრთხოების ზომები
- გარემოზე ზემოქმედება - ბიომრავალფეროვნება/ეკოლოგიური ზემოქმედება
- წუხილი კლიმატის ცვლილების გამო
- კულტურული მემკვიდრეობა/არქეოლოგია
- თემებში ინვესტირება

ღია კარის დღეები ნენსკრას და ნაკრას ხეობებში _ აგვისტო, 2017

JSC Nenskra Hydro

ნაწილი 4

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

შეხვედრები და არაფორმალური საუბრები

- 2017 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში ჩატარდა 206 შეხვედრა
- 456 დამსწრე (მათ შორის 30% ქალი)
- სოციალური დაძაბულობა პროექტისთვის რისკს წარმოადგენს. მოხდა მთელი რიგი ინცინდენტები, რომლებიც სოციალური სარგებლისა და მიწის კომპენსირების/გამოსყიდვის თაობაზე თემის გადაჭარბებული მოლოდინებით გამოწვეულ "ბლოკირებებს" უკავშირდებოდა



შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან



განხილული საკითხი



საჩივრები


მიღებული საჩივრების რაოდენობა
2017
დახურული საჩივრების რაოდ. 14
20
18
16
14
12
10
8
6
4
2
0
9
5
1
1
1
2
19
კომპენსაცია
დაზიანებული ქონება
ხმაური და ვიბრ.
ჯანდაცვა და უსაფრთხ.
დასაქმება
სხვა
საჩივრების რაოდ.

კომუნიკაციის აქტივობები

- შემუშავდა და დაინერგა კომუნიკაციის აღრიცხვის სისტემა, ოფიციალური და არაფორმალური შეხვედრების დასაფიქსირებლად.
- წამოწყებულ იქნა ყოველკვირეული (აგვისტოში) და ყოველთვიური (სექტემბერში) ანგარიშების მომზადება შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისთვის.
- 2017 წლის სექტემბერში დაიწყო ყოველთვიური შეხვედრები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით.
- ჩატარდა ხატვის კონკურსი ნენსკრის და ნაკრის ხეობების სამ სკოლაში. კონსურსის თემა იყო: „როგორ ვხედავ ბუნებას“. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 90-ზე მეტმა მოსწავლემ.

ხატვის კონკურსი ნენსკრას და ნაკრას სკოლებში

ნაჭრის ჩანთები დამზადდება **12** გამარჯვებული ნახატის გამოყენებით , ხოლო კალენდრები დაიბეჭდება **2019** წელს

JSC Nenskra Hydro

ნაწილი 5

საზოგადოებასთან ურთიერთობა

თემის და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

- 2017 წელს მომზადდა 9 სხვადასხვა ბროშურა ადგილობრივი თემისა და დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებშიც განხილული იყო კაშხლის უსაფრთხოების, თემის განვითარების პროგრამის, მიწის გამოსყიდვის, გარემოს დაცვის და დასაქმების საკითხები
- მომზადდა 2 ვიდეო რგოლი – ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ და კაშხლის უსაფრთხოება
- 2017 წლის ოქტომბერში დაიწყო ადგილობრივი თემებისთვის საინფორმაციო ბიულეტენების გამოცემა (2018 წლისთვის გამოიცემა 3 საინფორმაციო ბიულეტენი)
- შეიქმნა ოფიციალური გვერდი Facebook სოციალურ ქსელში
- შეიქმნა ვებ-გვერდის ახალი დიზაინი

მარკეტინგული მასალები



Nenskra HPP NEWSLETTER #1

JSC Nenskra Hydro

2017

Nenskra Hydropower Project Newsletter — *October*

ABOUT JSC NENSKRA HYDRO

JSC Nenskra Hydro Company is constructing the Nenskra Hydropower Plant in the Nenskra and Nakra river valleys in the Mestia Municipality of the Svaneti region. The 280MW power plant will generate over 1,200.00 GWh of electricity annually, which will be fully consumed by the Georgian market and will significantly decrease the need for energy import in winter. JSC Nenskra Hydro was established in 2015 by Korea Water Resources Corporation K-water and JSC Partnership Fund.

JSC NENSKRA LAUNCHES NEWSLETTER

JSC Nenskra Hydro will be publishing regular newsletters to contribute to key stakeholders' understanding of the project. The newsletters will likely be published quarterly and will consolidate project news. Community liaison officers will continue to be available daily in the project area and community information centers will be open daily, Monday–Friday from 2 p.m. to 4 p.m.

IN THE OCTOBER ISSUE

In this issue, JSC Nenskra revisits the questions most-frequently asked during the open house sessions and consultations with the Nenskra and Nakra communities held in August 2017. Future newsletters will offer more comprehensive updates on the various aspects of the project and will also be based on community feedback and subject of interest.

ნენსკრა ბიულეტენი #1

JSC Nenskra Hydro

ჰესის პროექტის საინფორმაციო

2017

ყოველკვარტალური გამოცემა — *ოქტომბერი*

„ნენსკრა ჰიდროს“ ჭეშმარიტი

სს „ნენსკრა ჰიდრო“ კორეის წყლის რესურსების კორპორაციამ K-water-ისა და სს „პარტნიორი ფონდის“ მიერ 2015 წელს დაარსდა. იგი მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ნენსკრასა და ნაკრის ხეობებში ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას ახორციელებს.

ნენსკრა ჰესის დადგმული სიმძლავრე 280 მგვტ. იქნება, ხოლო წლიური გამომუშავება – 1'200.00 გგტ/სთ-მდე. ჰესის მიერგამომუშავებული ელექტროენერგია მთლიანად საქართველოს ელექტროენერგიის საერთაშორისო ბაზარს მოიმარაგებდა და შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის იმპორტის საჭიროებას საგრძნობლად შეამცირებს.

სს „ნენსკრა ჰიდრო“ საინფორმაციო ბიულეტენის გამოშვებას იწყებს

სს „ნენსკრა ჰიდრო“ რეგულარულად გამოაქვეყნებს საინფორმაციო ბიულეტენს, რომლის მიზანია, უკეთ გააცნოს პროექტი ძირითად დაინტერესებულ პირებს.

ბიულეტენში, რომელიც კვარტალში ერთხელ გამოიცემა, პროექტის შესახებ სიახლეები იქნება თავმოყრილი. ამასთანავე, საზოგადოებასთან ერთიერთობის ოფიცრები საპროექტო ზონაში ყოველდღიურ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას, ხოლო საინფორმაციო ცენტრები ორიაა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 14:00-დან 16:00სთ-მდე.

ოქტომბრის გამოშვებაში

საინფორმაციო ბიულეტენის ოქტომბრის გამოშვებაში სს „ნენსკრა ჰიდრო“ კვლავ უპირველება კითხვებს, რომელიც 2017 წლის აგვისტოში ნენსკრასა და ნაკრას ხეობების მოსახლეობასთან ღია კარის ფორმატში ჩატარებულ გაფართოებულ საკარო განხილვებზე ყველაზე ხშირად დაისვა.

ბიულეტენის მომდევნო გამოშვებებში უფრო დაწვრილებით გაშუქდება სიახლეები პროექტის სხვადასხვა ასპექტის შესახებ. დიდი ყურადღება დაეთმობა ასევე თემის წევრთა მხრიდან გამოთქმულ მოსაზრებებსა და მოსახლეობისთვის საინტერესოსაკითხებს.

ციფრული მედიის მასალები





Facebook
გვერდი

YouTube
არხი

განახლებული
ვებ-გვერდი
ინგლ./ქართ.



სტატია Wikipedia-ში
ინგლ./ქართ

JSC Nenskra Hydro

ნაწილი 6

თემის განვითარების პროგრამა

თემის განვითარების პროგრამის ძირითადი მიმართულებები

I
- ეკონომიკური განვითარება და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა

II
- უნარ-ჩვევების გაძლიერება

III
- მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტები

IV
- სწრაფად განსახორციელებელი პროექტები

თემის განვითარების პროგრამა

- თემის განვითარების პროგრამა ჩამოყალიბდა 2017 წლის სექტემბერში
- შეიქმნა თემის განვითარების პროგრამის მრჩეველთა კომიტეტი ორივე ხეობაში
- საერთაშორისო ექსპერტების პანელისა და საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციების შესაბამისად თავიდან ყურადღება გამახვილდა „სწრაფად განსახორციელებელი“ პროექტების შემუშავებაზე და პარალელურად დაიწყო უფრო გრძელვადიანი ინიციატივების განხილვა

თემის განვითარების პროგრამა - 2017 წლის ძირითადი შედეგები

- ჩამოყალიბდა თემის განვითარების პროგრამის მრჩეველთა საბჭო ნენსკრას და ნაკრას ხეობებში
- მრჩეველთა საბჭო წარმოდგენილია 42 წევრით, მათ შორის 25% შეადგენს ქალს
- განისაზღვრა თემის განვითარების პროგრამის სამუშაო პრინციპები
- დაარსდა დასაქმებისათვის წინა მოსამზარებელი ტრეინინგ პროგრამა
- შემუშავდა ინგლისური ენის კლასები, კომპიუტერის შესწავლის კლასები და ტექნიკური უნარების სწავლების პროგრამა, და ნაწილის განხორციელებაც დაიწყო
- ნენსკრას ხეობის 50 მოსახლე ჩაერთო ინგლისური ენის კლასებში
- ნენსკრას ხეობის 10 მოსახლე გადამზადდა საოჯახო ტიპის სასტუმროების მართვაში, ტრენინგის მეშვეობით
- ნენსკრას და ნაკრას ხეობებში დაარსდა საგანმანათლებლო ცენტრები

თემის განვითარების პროგრამა – 2017 წლის ძირითადი შედეგები

- ნაკრას ხეობაში დაფინანსდა სწრაფად განსახორციელებელი 8 პროექტი
- ნენსკრას ხეობაში დაფინანსდა სწრაფად განსახორციელებელი 5 პროექტი
- დასრულდა ნაკრას ხეობაში მდინარის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები

თემის განვითარების პროგრამა

- 2017 წელს ნენსკრას ხეობაში განხორციელებული პროექტების სრული სია

სწრაფად განსახორციელებელი პროექტების ჩამონათვალი

პერსონალური კომპიუტერების და პროექტორიბის შეძენა ჭუბერის და ყარ-სგურიშის სკოლებისთვის
ჭუბერში გუთნის შეძენა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებისათვის
სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შეძენა ჭუბერის და ყარ-სგურისშის სკოლებისთვის (ფრენბურთის ბადეები და ბურთები, კალათბურთის, ფეხბურთის ბურთები, ჩოგბურთის მაგიდები)
ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა ბავშვთა ანსამბლისთვის „ნენსკრა“
ელექტრული ღუმელებისა და სამზარეულოს მოწყობილობის შეძენა ჭუბერის, ლახამის და ყარ-სგურიშის საბავშვო ბაღებისთვის
საბავშვო სკამების შეძენა ჭუბერის, ლახამის და ყარ-სგურიშის საბავშვო ბაღებისთვის
სხვადასხვა საკანცელარიო ნივთების, საბავშვო ლიტერატურის და სათამაშოების შეძენა ჭუბერის, ლახამის და ყარ-სგურიშის საბავშვო ბაღებისთვის
ჭუბერის სპორტული დარბაზის აღჭურვა სპორტული ინვენტარით
ჭუბერის სკოლის წყალმომარაგების სისტემის მცირე ზომის მილის შესყიდვა

ტრენინგები უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისთვის

ნენსკრაში საგანმანათლებლო ცენტრის რეაბილიტაცია კომპიუტერული კლასების მოსაწყობად
კლასების მოწყობა ინგლისური ენის სწავლებისთვის
50 ადგილობრივი მოსახლე ჩაერთო ინგლისური ენის კლასებში
10 ადგილობრივი მოსახლე გადამზადდა საოჯახო ტიპის სასტუმროების მართვაში, ტრენინგის მეშვეობით

მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტები

ნენსკრის ხეობაში სპორტული ცენტრის სრული რეაბილიტაცია

პროექტები, რომლებიც დაფინანსდა კომპანიის მიერ, არა თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში

ავტომობილი HYUNDAY H350 BUS 2.5 M/T Diesel Trivman შეძენა
დასაკეცი მაგიდების და სკამების შეძენა ჭუბერის კულტურის ცენტრისთვის
კონდიციონერების შეძენა ჭუბერის კულტურის ცენტრისთვის

თემის განვითარების პროგრამა

2017 წელს ნაკრას ხეობაში განხორციელებული პროექტების სრული სია

სწრაფად განსახორციელებელი პროექტების ჩამონათვალი

პერსონალური კომპიუტერების და პროექტორიბის შეძენა ნაკრას სკოლისათის
სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შეძენა ნაკრას სკოლისთვის (ფრენბურთის ბადეები და ბურთები, კალათბურთის, ფეხბურთის ბურთები, ჩოგბურთის მაგიდები)
მუსიკალური ინსტრუნენტების შეძენა კულტურის სახლში მუსიკის გაკვეთილებზე მოსიარულე ბავშვებისთვის
ელექტრული ღუმელები და სამზარეულოს მოწყობილობის შეძენა ნაკრის საბავშვო ბაღისთვის
საბავშვო სკამების შეძენა ნაკრას საბავშვო ბაღისთვის
სხვადასხვა საკანცელარიო ნივთების, საბავშვო ლიტერატურის და სათამაშოების შეძენა ნაკრას საბავშვო ბაღისთვის
ნაკრას დარბაზის აღჭურვა სპორტული ინვენტარით

ნაკრას ხეობაში სწრაფად განსახორციელებელი პროექტები

სასმელი წლის სისტემის ინვენტარის შესყიდავა სოფელ ცარელსთვის
სასმელი წლის სისტემის ინვენტარის შესყიდავა სოფელ ლაწომბასა და ნენკვაშისათვის
სასმელი წლის სისტემის ინვენტარის შესყიდავა სოფელ ანილისთვის
სასმელი წლის სისტემის ინვენტარის შესყიდავა სოფელ კიჩხულდაშისთვის
სასმელი წლის სისტემის ინვენტარის შესყიდავა სოფელ თავრარისთვის
სარიტუალური ინვენტარის შესყიდვა ნაკრას ხეობისთვის

პროექტები, რომლებიც დაფინანსდა კომპანიის მიერ, არა თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში

დასაკეცი მაგიდები და სკამების შეძენა ნაკრას კულტურის ცენტრისთვის
კონდიციონერების შეძენა ნაკრას კულტურის ცენტრისთვის

მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტები

ნაკრას ხეობაში მდინარის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები დატბორვის პრევენციის მიზნით

თემის განვითარების პროგრამის ფოტოები

JSC Nenskra Hydro

ნაწილი 7

გარემო და ბიომრავალფეროვნება

2017 წელს ჩატარებული ძირითადი მონიტორინგების ჩამონათვალი

- წყლის მონიტორინგი
- მდინარის თევზების მონიტორინგი (4-11 სექტემბერი)
- მურა დათვის მონიტორინგი (სექტემბერი და ოქტომბერი)
- ჰაერში ემისიების მონიტორინგი
- ხმაურის და ვიბრაციის მონიტორინგი

დიდი ზომის მტაცებლების მონიტორინგი (მურა დათვი, ფოცხვერი და მგელი)

- ჩატარდა 2 კვლევა: სექტემბერში და ოქტომბერში.
- დამონტაჟდა 5 სათვალთვალო ფოტოკამერა.
- შედეგებმა გვიჩვენა, რომ მურა დათვი გვხვდება ნენსკრას ხეობის ყველა შესწავლილ უბანზე, კაშხლის განლაგების ადგილის ზემოთ და ქვემოთ მდინარისპირა უბნების, ქვედა შენაკადების ხეობების და დევრას ხეობის შენაკადის ჩათვლით.
- ნაკრას ხეობაში მურა დათვის კვალი არ იქნა აღმოჩენილი, თუმცა ადრინდელი ჩანაწერები მიუთითებს, რომ მურა დათვის ნაკრას ხეობაში გამოჩენის შემთხვევები არსებობს.
- DNA-ის შედეგები აჩვენებს 12 დათვის (8 მდედრი და 4 მამრი) არსებობას.

დათვის ნაკვალები – ნენსკრის ხეობის ქვედა ნაწილი

მგლის ნაკვალევი – დევრას ხეობა

თევზების, უხერხემლოების და წავის შესწავლა

- ყავისფერი კალმახი არის ორივე მდინარეში (საქართველოს წითელი წიგნის მოწყვლადი სახეობების ჩამონათვალის მიხედვით, IUCN-ს მიხედვით ნაკლებად საყურადღებო). მაქსიმალური სიმჭიდროვე დაფიქსირდა წყალსაცავის ზონაში.
- დადგინდა თეზვების ორი ინვაზიური სახეობა: წინწკლებიანი კალმახი და კობრი.
- გადმოცემით ცნობილი, თევზის სახეობის „ორაგულის“ არსებობა არ დასტურდება.

მონიტორინგის სადგური – წყალსაცავის ქვემოთ

წინწკლებიანი კალმახი

თევზების, უხერხემლოების და წავის შესწავლა

- კალმახი არის ორივე მდინარეში (საქართველოს წითელი წიგნის, მოწყვლადი სახეობების მიხედვით, IUCN-ს მიხედვით ნაკლებად საყურადღებო). მაქსიმალური სიმჭიდროვე დაფიქსირდა წყალსაცავის ზონაში.
- დადგინდა თეზვების ორი ინვაზიური სახეობა: წინწკლებიანი კალმახი და კობრი.
- გადმოცემით ცნობილი, თევზის სახეობის „ორაგულის“ არსებობა არ დასტურდება.
- დადგინდა მაკრო-უხერხემლოების 17 ტაქსონომიური ჯგუფი, არცთუ დიდი ოდენობით და კონსერვაციული სტატუსით.

გარემოსდაცვითი მონიტორინგი

- წყალი: მდინარეები ნენსკრა და ნაკრა, წყაროები და მინერალური წყლები (სექტემბერი და ოქტომბერი). გაზომილი პარამეტრები: ტემპერატურა, pH, სიმღვრივე, ჟანგბადის შემცველობა და ელექტროგამტარობა (საწყისი მდგომარეობის შესწავლის მიზნებისთვის).
- ხმაური (სექტემბერი და ოქტომბერი). საძალე კვანძის უბანი.
- ვიბრაცია (სექტემბერი და ოქტომბერი). საძალე კვანძის უბანი.

მდინარე ნენსკრას წყლის სინჯებია აღების ადგილი

ჯუგ მენეჯერი წყლის სინჯის შესწავლისას

JSC Nenskra Hydro

ნაწილი 8

მიწის შესყიდვის და საარსებო რესურსების აღდგენის გეგმა (მშსრაგ)

სამშენებლო უბნები

- ჰიდროელექტროსადგურის უბანი;
- კაშხლის და წყალსაცავის უბანი;
- ჰესის მომსახურე პერსონალის დასახლება;
- ნენსკრას გზა;
- ნაკრას დამბა და წყალმიმღები;

ჰიდროელექტროსადგურის უბანი
პროექტის მიერ მუდმივად გამოსაყენებელი მიწის ჯამური ფართობი: 118 ჰა;
ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთები, სს „ნენსკრა ჰიდრო“- ს უკვე გადაეცა შესაბამისი უფლებებით
ზემოქმედებაში მოქცეული ოჯახისთვის ზიანის კომპენსაცია უზრუნველყოფილია, მიწის შეძენისა და საარებო საშუალებების აღდგენი გეგმის შესაბამისად

კაშხლის და წყალსაცავის უბანი
პროექტის მიერ მუდმივად და დროებით გამოსაყენებელი მიწის ჯამური ფართობი: 621 ჰა
კაშხლის და წყალსაცავის მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთები, სს „ნენსკრა ჰიდრო“- ს უკვე გადაეცა შესაბამისი უფლებებით
სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ განხორციელდა საძოვრებზე განთვასებული დროებითი ხის ნაგებობების კომპენსირება ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მიწის შეძენისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის შესაბამისად
სამშენებო ტერიტორიაზე არსებულ საძოვრებთან დაკავშირებული კონსულტაციები მოსახლეობასთან, ამჟამად მიმდინარეობს

ჰესის მომსახურე პერსონალის დასახლება

პროექტის მიერ მუდმივად გამოსაყენებელი მიწის ჯამური ფართი: 1.2 ჰა
ჰესის მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი, სს „ნენსკრა ჰიდრო“- ს უკვე გადაეცა შესაბამისი უფლებით
ზემოქმედებაში მოქცეული ოჯახისთვის ზიანის კომპენსაცია უზრუნველყოფილია, მიწის შეძენისა და საარებო საშუალებების აღდგენი გეგმის შესაბამისად

ნენსკრას გზა

კაშხლის და წყალსაცავის უბანთან მისასვლელი, არსებული გზის გაფართოების სამუშაოებით გამოწვეულ ზემოქმედებაში მოქცეულია 35 საოჯახო მეურნეობა;
ზემოქმედებაში მოქცეული 19 ოჯახისთვის ზიანის კომპენსაცია უზრუნველყოფილია, მიწის შეძენისა და საარებო საშუალებების აღდგენი გეგმის შესაბამისად
მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან კონსულტაციის პროცესი მიმდინარეობს;

ნაკრას დამბა და წყალმიმღები

პროექტის მიერ მუდმივად და დროებით გამოსაყენებელი მიწის ჯამური ფართობი: 44 ჰა
სოფელ ნაკრას მოსახლეობასთან კონსულტაციების პროცესი უნდა დაიწყოს 2018 წელს

JSC Nenskra Hydro

ნაწილი 9

ჯანდაცვის და უსაფრთხოების ასპექტები ჩვენს სამუშაოში

მართვის სისტემის მიმოხილვა

1	ავტომობილის უსაფრთხო მართვა, დაღლილობის და მგზავრობის მართვის პროცედურა
2	უსაფრთხოების საკითხების მართვის პროგრამა
3	ნარჩენების განკარგვის მართვის პროგრამა
4	ჰაერში ემისიების და მტვრის წარმოქმნის კონტროლის გეგმა
5	არქეოლოგიური არტიფაქტების მართვის პროცედურა
6	ნაჟური წყლების მართვის პროცედურა
7	ეროზიის და დანალექების კონტროლის გეგმა
8	საშიში ნივთიერებების და მავნე ნარჩერნების მართვის გეგმა
9	ჯანდაცვის საკითხების მართვის გეგმა
10	ხმაურის და ვიბრაციის კონტროლის გეგმა
11	სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მართვის გეგმა
12	ნაშალი მასალის მართვის გეგმა
13	სამშენებლო მოედნის გარემოს დაცვის გეგმა

JSC Nenskra Hydro

ნაწილი 10

მონიტორინგი

2017 წელს ჩატარებული ძირითადი მონიტორინგები

- შიდა მონიტორინგები: სამშენებლო მოედნის რეგულარული შემოწმება
- საერთაშორისო ექსპერტთა პანელის წარმომადგენელთა მონიტორინგი
- 2017 წლის აგვისტოში კომპანია Artelia-ს მიერ ჩატარებული შემოწმების მისია
- 2017 წლის დეკემბერში კომპანია Artelia-ს მონიტორინგის პირველი მისია

დიდი მადლობა!